ფრე, რომელიც დამარცხებას უდრის

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 20 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) _ “დაუგავა” (რიგა) 0:0.

“დაუგავა”: ტუჩკუსი, სტრაუმე, სიმბირცევი, კევერისი, ხუნდაძე (ბირძგალისი), გრიშინი, ქვლივიძე, ივანოვი, ანაშკინი, ლატინცევი, მედვედევი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ჩოხელი, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, გრამატიკოპულო, ბარქაია, კურტანიძე, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი ა. ცაპოვეცკი (კიევი).

ჯერ კიდევ შარშან რიგის “დაუგავა” უმნიშვნელო ერთეულს წარმოადგენდა “ბ” კლასის გუნდებს შორისაც კი. იგი წლების განმავლობაში საკმაოდ უფერულად თამაშობდა “მეორე ეშელონში” და 1959 წლის სეზონში “ბ” კლასის IV ზონის გუნდებს შორის მე-11 ადგილზე იმყოფებოდა.

მაგრამ “ა” კლასში გადასვლასთან დაკავშირებით ლატვიის გუნდში მოხდა საფუძვლიანი რეორგანიზაცია. აქ გადმოვიდა რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე სხვა კოლექტივებიდან, რომლებმაც ახალგაზრდებთან ერთად საგრძნობლად გამოასწორეს თამაში და მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში დიდ წარმატებასაც მიაღწიეს (მოგება კიშინიოვში და ფრე ერევანში). ამის შედეგად თბილისის “დინამოს” 20 აპრილს მატჩი ჰქონდა არა მარტო “ა” კლასის დებიუტანტთან, არამედ 1 ქვეჯგუფის ერთ-ერთ ლიდერთანაც.

ამ მატჩს რიგელთათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. გარდა იმისა, რომ მათ უაღრესად ესაჭიროებოდათ ერთი ქულა მაინც, აღნიშნული შეხვედრა მათთვის ძალების ახალ გამოცდას წარმოადგენდა და კარგი მომავლის პერსპექტივას ქმნიდა. “დაუგავამ” ეს გამოცდაც ჩინებულად ჩააბარა და ერთი ქულაც ჩაიწერა. გუნდმა თავდასხმაში ბევრი ვერაფერი აჩვენა, მაგრამ ნახევარდაცვა და დაცვა თამაშობდნენ ძალების დაუზოგავად, მაქსიმალური ენერგიითა და ურთიერთდაზღვევით. განსაკუთრებით კარგად ჩაატარეს მატჩი ხუნდაძემ, სტრაუმემ და გრიშინმა.

რაც შეეხება თბილისელებს, ეს იყო მათი ერთ-ერთი ყველაზე სუსტად, უსისტემოდ და ქაოტურად ჩატარებული თამაში ამ ბოლო ხანებში. თუ დაცვა ასე თუ ისე მაინც ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, წინა ხაზების მოთამაშენი ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგნენ. სუსტად ითამაშა იამანიძემ, მართალია, იგი ამ დღეს სავსებით ჯანმრთელი არ იყო, მაგრამ მაშინ მით უფრო გაუმართლებელია მისი მოუმზადებელი, ნაუცბათევი რეიდები მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. მის პარტნიორს _ ღოღობერიძეს თვითონ უჭირდა თამაში და იგი მის დამხმარედ არ ვარგოდა.

ასევე სუსტი იყო გრამატიკოპულო. უკვე განვლო პირველობის სამმა მატჩმა, იგი კი ჯერ არა შეთამაშებული პარტნიორებთან, ვერ პოულობს მათთან საერთო ენას. ერთფეროვნად თამაშობდა მესხი, თუმცა მისი რამდენიმე გარღვევის შედეგად კარის წინ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობანი შეიქმნა, მაგრამ კურტანიძე არც ერთხელ არ იმყოფებოდა ისეთ პოზიციაში, რომელიც შეიძლება გოლით დამთავრდეს. იგი ვერ ქმნის სიმწვავეს და კარის აღების უშუალო მომენტებს.

განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ჩვენს გუნდში არაზუსტი გადაცემები. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ დინამოელები გადაცემათა 80 პროცენტს მოწინააღმდეგეს ახარებენ და ხშირად ისეთ სიტუაციაშიც კი, როცა მოწინააღმდეგისათვის ბურთის მიცემა გაცილებით ძნელია, ვიდრე თავისიანისათვის.

ერთი სიტყვით, თბილისელებმა ცუდად ჩაატარეს მატჩი. მაგრამ ეს სულაც არ უნდა იქცეს ნაადრევი პესიმიზმის საბაბად. გუნდმა შარშანაც ასე დაიწყო სეზონი და შემდგომში ჩადგა საბრძოლო ფორმაში. ახლა საჭიროა დაუყოვნებლივ გაკეთდეს ყველაფერი, რათა აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებები და გუნდმა დაიბრუნოს თავისი ნამდვილი ბრძოლისუნარიანობა.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ასევე უშედეგოდ _ 0:0.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 21 აპრილი, 1960 წ.